რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

წინამდებარე რწმუნებულებით დამკვეთი: შპს „მოდუსი“ ს/ნ: 245565669, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი ბათუმი, პუშკინის ქუჩა, N18 (შემდგომში მარწმუნებელი) დირექტორის ოთარ დარჩიძის (პ.ნ. 61002017346) მიერ ლევან ძაგნიძეს (პ.ნ. 01002019473) ენიჭება უფლებამოსილება, მასზედ რომ წარადგინოს შპს „მოდუსი“-ს ინტერესები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნებისმიერ საქალაქო სამსახურთან, მათ შორის არქიტექტურის, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების, ქონების მართვისა და სხვა ყველა არსებულ საქალაქო სამსახურთან ურთიერთობაში 01.81.08.276.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით. „რწმუნებული“ „მარწმუნებლისაგან“ უფლებამოსილია წარადგინოს/ატვირთოს ყველა აუცილებელი დოკუმენტი, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო განცხადებას, განაცხადს და სხვა ოფიციალურ საბუთს, გადაიხადოს გადასახადები, მიიღოს ხელზე და ელექტრონულად შეთანხმებული ნებართვები, ჩაიბაროს გადაწყვეტილებები ან სხვა სახის დოკუმენტები. გაასაჩივროს გადაწყვეტილებები ან/და ქმედებები, შეიტანოს ცვლილებები წარდგენილ დოკუმენტაციაში/განცხადებაში, „მარწმუნებლის“ სახელით ხელი მოაწეროს ზემოთხსენებულ დავალებასთან დაკავშირებულ ყველა აუცილებელ დოკუმენტაციას და განახორციელოს ყველა სხვა მოქმედება, რაც აუცილებელია წინამდებარე რწმუნებულებაში მოცემული დავალების შესასრულებლად. არავის არ აქვს უფლება ეჭვი შეიტანოს რწმუნებული პირის უფლებამოსილებაში იმის გამო, რომ კონკრეტული ქმედების განხორციელების უფლებამოსილება არ არის მითითებული წინამდებარე რწმუნებულებაში.

რწმუნებულება გაცემულია 1 წლის ვადით

რწმუნებულების გაცემის თარიმი 26.01.2026

შპს „მოდუსი“ ს/ნ: 245565669

დირექტორი: ოთარ დარჩიძე

